წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N 10

ქ. წალენჯიხა 2022 წლის 29 ივლისი

2022 წლის 29 ივლისს, გაიმართა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალია, ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი: ავთანდილ გაბელია, გიორგი დარსალია,მაია მიქავა, მანანა ჭანია, ბესიკ ფარცვანია,დათა კუკავა, სოლომონ სარია, ზაზა უბილავა, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, გონერ კვარაცხელია, ნანა ლემონჯავა. სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ივანე ბურდული, საკრებულოს აპარატის უფროსი-იზოლდა მოლაშხია, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12^{00} **სთ-ზე**

სხდომა დასრულდა: 12^{45} **საათზე**

საკრებულოს თავმჯდომარე კორნელი სალიამ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ . სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი სახით კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგი. ღია კენჭისყრით, ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ**

   მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

2. **მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ოჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

   მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

3. „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე" წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: გელა სალია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი

4. „შპს „ენგურჰესთან" დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N22 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის საქმიანობის ვადის გაგრძელების თაობაზე

მომხსენებელი: გონერ კვარაცხელია, შპს „ენგურჰესთან" დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე

5.სხადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე

მომხსენებელი: გონერ კვარაცხელია, საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის" თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ და აღნიშნა, რომ მერიაში შემოსულია მოქალაქეთა განცხადებები, რომლებიც ითხოვენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებას. მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, ამით მოქალაქეებს მიეცემათ საშუალება მიიღონ მონაწილეობა გამოცხადებულ აუქციონზე, მათთვის სასურველი ქონების შესაძენად და ბიუჯეტშიც შემოვა გარკვეული თანხები. ამასთან საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს შესაბამის კომისიაზე. კომისიის მიერ ადგილზე იქნა დათვალიერებული განკარგულების პროექტით განსაზღვრული საპრივატიზაციო ობიექტები და მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხის საკრებულოს სხდომაზე განხილვა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულება N38.

მოისმინეს: 2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. მომხსენებლის განმარტებით, საკითხი ეხება ქ.წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე „ტერენტი გრანელის სახელობის“ პარკის ტერიტორიაზე 393 კვ.მ მიწის ნაკვეთის, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით აღებას, სადაც გეგმავს სხვადასხვა სახის ბავშვთა გასართობის მოწყობას. საკითხი შესწავლილ და განხილულ იქნა შესაბამისი კომისიის მიერ და შეფასდა დადებითად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ, განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულება N39

მოისმინეს: 3 „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ. მან საკრებულოს წევრებს გააცნო „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 36 განკარგულებაში შესატანი ცვლილება, რომელიც ტექნიკური ხასიათისაა, კერძოდ დანართში უნდა აღინიშნოს მხოლოდ 2022 წელს განსახორციელებელი პროექტები, რის გამოც განკარგულების დანართი მოიცავს მხოლოდ მ/წელს დასაფინანსებელ პროექტებს.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ განკარგულების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 ივნისის N 36 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განკარგულება N40.

მოისმინეს: 4. „შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N22 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის საქმიანობის ვადის გაგრძელების თაობაზე

საკითხი წარმოადგინა შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ (საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარე) გონერი კვარაცხელიამ. მან საკრებულოს წევრებს ინფორმაციის სახით მიაწოდა სამუშაო ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუშაობის ვადის გაგრძელების თაობაზე. ენგურჰესის ქონების, რომელიც მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენს გაცილებით ნაკლებს ვიდრე მისი რეალური საბაზრო ღირებულებაა, რის გამოც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი კარგავს მნიშვნელოვან შემოსავლებს ქონების გადასახადის სახით. ამიტომ აუცილებელია ქონების აფასება ავტორიტეტული ექსპერტების (აუდიტორების) მიერ. სამუშაო ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა საკრებულოს თავმჯდომარის სახელით გაეგზავნოს წერილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ლევან დავითაშვილს და ეთხოვოს დაავალოს შესაბამის სამსახურებს მოიწვიონ ავტორიტეტული ექსპერტები (აუდიტორები) და მოახდინოს ზემოთ აღნიშნული ქონების გადაფასება საბაზრო ღირებულებით. საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა (როგორ იქნას აცილებული მაქსიმალურად სამომხმარებლო ტარიფზე აღნიშნული საკითხის ზემოქმედება). აღნიშნული საკითხის ძირფესვიანი შესწავლა მოითხოვს დამატებით დროს. რადგან სამუშაო ჯგუფს ეწურება სამ თვიანი ვადა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, სამუშაო ჯგუფს შეიძლება გაუგრძელდეს მუშაობის ვადა მაქსიმუმ ექვს თვემდე, მაგრამ თითოეულ ჯერზე არაუმეტეს ერთი თვისა. საკრებულოს წინაშე შემოვდივარ თხოვნით სამუშაო ჯგუფს, რომელიც შექმნილია ენგურჰესის ქონების რეალური ნარჩენი საბალანსო ღირებულების დასადგენად, მუშაობის ვადა გაუგრძელდეს ერთი თვით.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ, კორნელი სალიამ სამუშაო ჯგუფისთვის საქმიანობის ვადის ერთი თვით გაგრძელების თაობაზე საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი) მიღებულ იქნა „შპს „ენგურჰესთან“ დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის N22 განკარგულებით შექმნილი სამუშაო ჯგუფისთვის საქმიანობის ვადის გაგრძელების თაობაზე“ განკარგულება N41.

5.სხვადასხვა

მოისმინეს: ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის სოციალური პროგრამის თაობაზე

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს ფრაქცია „წალენჯიხა საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გონერი კვარაცხელიამ. მან აღნიშნა , რომ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან მუჟავა (ერისწყალი), ფახულანი (წყოუში) და ჯგალის (სქური) ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაციულ ცენტრთან დაკავშირება უჭირთ და ითხოვენ ფინანსური ხელშეწყობით საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფას კვირაში მინიმუმ 2 დღით. მუჟავა და ფახულანი წარმოადგენს ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრისპირა ადმინისტრაციულ ერთეულებს, საიდანაც ოკუპირებული ტერიტორიიდან ხდება საქართველოს მოქალაქეების შემოსვლა.ჯგალის ადმინისტრაციული ერთეული სქურის უბანი წარმოადგენს

რთული რელიეფის მქონე მთის საკურორტო და საექსკურსიო ზონას, ადგილობრივების უმეტესობა სოციალურად დაუცველია და შესაბამისად მომსახურების მიზანია, როგორც ადგილობრივების, ასევე დევნილების, ტურისტებისა და დამსვენებლებისათვის გადაადგილების შეღავათიანი სერვისით უზრუნველყოფა, აგრეთვე საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება გააუმჯობესებს მგზავრობას, რადგანაც მათ უხდებათ სხვადასხვა ტრანსპორტის გამოცვლა ქ.წალენჯიხაში ჩამოსასვლელად. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს ეკონომიურად ნაკლებ დანახარჯებს და ადგილობრივი დამსვენებლებისა და ტურისტების გაზრდას. მერია თანახმაა რეალიზდეს ეს პროგრამა. საკრებულოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოხდება თანხების მოძიება და ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრმა ბესიკ ფარცვანიამ წამოაყენა წინადადება, არა ერთი თვით, არამედ წლის ბოლომდე დაეანგარიშებინათ ხარჯები, რომ მერე უკმაყოფილება არ გამოეთქვა მოსახლეობას.

საკრებულოს წევრმა ნანა ქობალიამ პროგრამაში ქალაღალის მარშუტის დამატება მოითხოვა რასაც საკრებულოს თავმჯდომარემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე ვერ ხერხდება პროგრამით მოსარგებლე სხვა მარშუტების გაზრდა, ვინაიდან იგივე პრობლემა ბევრგან არის მოსაწესრიგებელი და ნელნელა რასაც შევძლებთ დავამატებთ.

მერის პირველმა მოადგილემ ივანე ბურდულმა საკითხთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება. აღნიშნა, რომ მერი მიესალმა ამ ინიციატივას და გეგმავს თანხები მოიძიოს და ნელნელა გაზარდოს მარშუტების რაოდენობა, რომ ყველანაირად ეცდებიან დააჩქარონ ეს პროექტი და ცვლილება სოციალური დახმარების წესში და ბიუჯეტში ერთდროულად წარმოადგინონ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ მიმართა მერის მოადგილეს, რომ დაჩქარებული წესით წარმოადგინონ პროგრამა ბიუჯეტის ცვლილებასთან ერთად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაუფიქსირებიათ.

საკრებულოს წევრებმა ბესიკ ფარცვანიამ და მანანა ჭანიამ კითხვით მიმართეს მერის პირველ მოადგილეს ივანე ბურდულს თუ რა ეტაპზე იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამები და რეგიონალური განვითარების ფონდიდან საკასო შესრულება რამდენად დაბალია? რასაც მერის მოადგილემ უპასუხა, რომ დამაიმედებელს ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან პროექტის შესრულების ვადა იწურება და დღემდე არაა წარმოდგენილი სრულყოფილად არცერთი პროექტი. რამოდენიმეჯერ წარმოადგინეს თუმცა დავახარვეზეთ და უკან დავუბრუნეთ და ამ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ.რაც შეეხება რეგიონალური განვითარების ფონდიდან საკასო შესრულებას ძალიან დაბალია .

საკრებულოს წევრმა დათა კუკავამ ფახულანში, საშონიოს უბანში სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალზე ისაუბრა და მიმართა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსს გელა სალიას. მიუხედავად არაერთი დაპირებისა, რომ კომისია ადგილზე დაათვალიერებდა და შეისწავლიდა აღნიშნულ საკითხს, დღემდე ეს დაპირება შეუსრულებელი დარჩა და დასძინა რომ მთავრობა თანხებს იმ პრობლემების მოსაგვარებლად გვიგზავნის რაც მოსახლეობას აწუხებს და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური კი არაფერს აკეთებს პრობლემის მოსაგვარებლად.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა გელა სალიამ საკრებულოს წევრს დათა კუკავას უპასუხა, რომ პირადად მისგან დაპირება არ ყოფილა, ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დათა კუკავას მიერ აღნიშნული ფაქტი 22-23 ივნისს გამოწვეული სტიქიის შედეგი არ არის. გ. სალიამ საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ დაუკავშირდა ფახულანის რწმუნებულს, რომელმაც განმარტა, რომ არ მომხდარა არანაირი

სტიქია ამ პერიოდში, არცერთი წერილი არ დაფიქსირებულა საშონიოს უბნის მოსახლეობიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გათვალისწინებით ამისა, გელა სალიამ მიიჩნია, რომ შენიშვნა უსამართლო და უსაფუძლო იყო.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია